შპს „აღმოსავლეთ საქართველოს
ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

Mental health center of east GEORGIA LTD

ქ. თბილისი ნუცუბიძის ქ.#14-ბ; ს/კ 243123455; E-mail: ps.hosp @gmail.com; Tel: 551327327

№ 067.

05 ივლისი 2019წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ მარინა დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

თქვენი 2019 წლის 04 ივნისის № 01/12232 წერილის პასუხად, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ *(შემდგომში - “ცენტრი“)* დაგეგმილი რეორგანიზაციის შესახებ დამატებით გატყობინებთ, რომ:

- ცენტრის მენეჯმენტის დაინტერესების საგანს წარმოადგენს დაწესებულებაში იმდაგვარი ადმინისტრაციული, სტრუქტურული და საშტატო ცვლილებების განხორციელება, რაც შექმნის პაციენტზე მეტად ორიენტირებულ გარემოს, დაწესებულების ფინანსური რესურსის განკარგვის ოპტიმიზაციის გზით. კერძოდ, გადაიხედება ცალკეული ადმინისტრაციული და ტექნიკური სამუშაოს შესრულებისთვის გათვალისწინებული საშტატო ერთეულების საჭიროებისა და ეფექტურობის საკითხი, განხორციელდება ბედიანისა და სურამის ფსიქიატრიული კლინიკების საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სამედიცინო შემადგენლობის ოპტიმიზაცია, შესასრულებელი სამუშაოს პროპორციული გადანაწილების მიზნით, რაც დღეის მდგომარეობით, მოქმედი მენეჯმენტის დაკვირვებით, წარმოადგენს არსებითი ხასიათის პრობლემას.
- *ჩამოყალიბდება, ცენტრის ადმინისტრაციული მოწყობისა და სტრუქტურული ქვემდებარეობის განახლებული სქემა, რომლის ფარგლებშიც ცენტრალიზებული, ვერტიკალური ქვემდებარეობის პრინციპის დანერგვით, მოხდება ბედიანისა და სურამის ფსიქიატრიულ კლინიკებს შორის არსებული სისტემური ხასიათის დიფერენციირებების აღმოფხვრა. ამასთან, ზემოაღნიშნულ ცვლილებათა პაკეტი საშუალებას მოგვცემს სამედიცინო პერსონალის ყოველდღიური საქმიანობა გათავისუფლდეს ადმინისტრაციული და ტექნიკური ხასიათის დავალებების შესრულებისგან, რაც პოზიტიურად აისახება სამედიცინო მომსახურების ხარისხის განვითარების ტემპებზე.*
- რეორგანიზაციის პროცესი წარიმართება ინტერაქტიული გზით, კერძოდ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის ორგანიზაციული ბრძანებით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
შემოს. № 96723
"08" 07 2019 წ.
ფურცელი 2 **

15 05
030151000893819

6:37

შეიქმნება სარეორგანიზაციო კომისია, გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავების მიზნით. ეს უკანასკნელი დაკომპლექტდება ცენტრის ფინანსური, იურიდიული და მატერიალურ - ტექნიკური სამსახურებით და ცენტრში გასატარებელი ცვლილებათა პაკეტი შემუშავდება ცენტრში დასაქმებულ მედიცინის მუშაკთა აუცილებელი მონაწილეობით. .

დამატებითი კითხვებისა და თქვენი მხრიდან რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, ცენტრი მზადყოფნას გამოთქვამს შემდგომი თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით შპს „აღმოსავლეთ საქართველოს
ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი

გიორგი გულაშვილი